



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო  
G E O R G I A  
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი:ლ65.6521351001

თარიღი:17/12/2021

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი**

**სხდომის ოქმი N 2**

**ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 16.12 .2021 წ.**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი:** ალექსანდრე ლილუაშვილი,გიორგი ივანიაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გრიგოლ მატარაძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ლია დიასამიძე, ლანა გოგოძე, ილია დვალისვილი, გიორგი ტყემელაშვილი, ივენე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყემელაშვილი, თორნიკე ერისთავი, კობა ძაგნიძე.

**სხდომას საპატიო მიზვნით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** შოთა გიორგაძე, სანდრო ხურციძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში-**ლუბა გოგოძე**.

## **მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი  
**-ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების  
მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას  
14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

### **დღის წესრიგი**

1. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს შექმნის შესახებ ინფორმაციის  
ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს: ვლადიმერ ჭვალაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“  
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48  
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

მომხს: გიორგი ივანიაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამუშავების შესახებ“ ვანის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: ივანე მამფორია

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში  
არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე უძრავი ნივთის (ს/  
კ 31.17.24.132) პირველ სართულზე განთავსებული 141.1 კვმ ფართის ა(ა)იპ  
„სახელოვნებო, განათლებისა და ჭურჭლის განვითარების ცენტრი“ისთვის (ს/  
კ229659376) უსასყიდლო უზუფრუფის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით  
გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხს: ზვიადი კაპანაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - არცერთი.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით  
მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ საკრებულოს წევრებს მოახსენა ფრაქცია  
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს შექმნის შესახებ. საკრებულოს წევრების  
მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეგლამენტის თითქმის 33-ივე მუხლში შევიდა ცვლილებები და წარმოადგინა ეს ცვლილებები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი -2 (დავით კაკაბაძე, გრიგოლ მატარაძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

დადგენილება N 22

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში იკლებს განაპირობა საკუთარი შემოსავლების ზრდამ, რომელიც მიიმართება სხვადასხვა, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე.

ზემოაღნიშნული იკლებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 15767.5 ათასი ლარით. გადასახდელი 17034,2 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის რედაქციით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი -2 (დავით კაკაბაძე, გრიგოლ მატარაძე)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის

**მოხსენეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ჯანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ჯანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯანის მუნიციპალიტეტში, ზვინდრის ადმინისტრაციულ ერთეულის, სოფ. ზვინდარში მდებარე უძრავი ნივთის (ს/კ 31.17.24.132) პირველ სართულზე განთავსებული 141.1 კვმ ფართის ა(ა)იპ „სახელოვნებო, განათლებისა და ჭურჭლის განვითარების ცენტრი“ისთვის (ს/კ229659376) უსასყიდლო უზუფრუქის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ფართი ესაჭიროებათ სამუსიკო სკოლისთვის და საჭიროა თანხმობა გადაცემაზე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი -2 (დავით კაკაბაძე, გრიგოლ მაჭარაძე)

**გადაწყვიტის:** დამკვიდრეს განკარგულების პროექტი: „ჯანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ჯანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯანის მუნიციპალიტეტში, ზვინდრის ადმინისტრაციულ ერთეულის, სოფ. ზვინდარში სოფ. ზვინდარში მდებარე უძრავი ნივთის (ს/კ 31.17.24.132) პირველ სართულზე განთავსებული 141.1 კვმ ფართის ა(ა)იპ „სახელოვნებო, განათლებისა და ჭურჭლის განვითარების ცენტრი“ისთვის (ს/კ229659376) უსასყიდლო უზუფრუქის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

განკარგულება N გ-65.65213502

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

**ჯანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე**

ალექსანდრე ლილუაშვილი

ჯანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

